MES 5 23 0000045637

18/01/2023

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის**
**საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 28 დეკემბერს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**სხდომას ესწრებოდნენ:**
**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

1. **კახა შენგელია** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ივანე აბაშიძე -** სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
3. **დავით ბოსტოღანაშვილი -** შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
4. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
6. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

8. **გია ლობჟანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. **ერმილე მესხია -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
10. **ელენე ჟურავლიოვა -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
11. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
12. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნინო სარჯველაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:**

1. დავით მახვილაძე, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. ხათუნა მხეიძე, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.
3. ზურაბ გვიშიანი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი.
4. თეიმურაზ კუნჭულია, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.
5. ნუგზარ წერეთელი, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი.
6. მაია მშვილდაძე, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.
7. ოთარ გელაშვილი, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი.
8. მარინა ჯავახიშვილი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
9. შალვა კელეპტრიშვილი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
10. მამუკა მაისურაძე, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

11. ნათია ბუთხუზი, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
12. თეიმურაზ ბარაბაძე, სტუ-ის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიის დეპარტამენტის“ უფროსი.
13. რუსუდან გიორგობიანი, „მშენებლობის“ ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
14. მანანა მოისწრაფიშვილი, „საგზაო ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
15. ნანი ხუნდაძე, „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
16. როზა ხუციშვილი, „სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
17. ზურაბ გოგველიშვილი, თეიმურაზ გორშკოვი, „ტრანსპორტის“ ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები.
18. თინათინ დათიაშვილი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:**

1. რექტორი - კახაბერ ლაზარაშვილი;
2. პრორექტორი - რუსუდან ჩიქოვანი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - ეკა ლუაშვილი.

**შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის წარმომადგენლები:**

1. რექტორი - სალომე პირველი;
2. ვიცე რექტორი - მარინე კობალავა;
3. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - ანჟელა აბულაძე;
4. ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე - მაია ვასაძე.

**შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში წარმომადგენლები:**

1. მაია გურგენიძე - რექტორი;
2. ლაშა მარკოზაშვილი - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რექტორის მოადგილე;
3. ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. დავით ცირამუა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
5. თამარ კეკენაძე - კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი;
6. თეონა ხაჩიძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
7. მიხეილ გურგენიძე - აფილირებული ასისტენტ-პროფესორი;
8. ლიკა გიორგაძე - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

1. დიანა მჭედლიშვილი
2. გიგა ხოსიტაშილი
3. ეკა გეგეშიძე
4. ჯილდა ჭეიშვილი
5. ნინო ამირანაშვილი
6. ინგა დიაკონიძე
7. მარიამ ბანძელაძე
8. ქეთევან აფთარაშილი
9. თამარ თავხელიძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 16:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საგზაო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
6. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ;
8. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**
**არა**

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საგზაო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
6. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

**1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
• არა
**საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
• დიახ
აცილება განაცხადა ნინო იმნაძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება შეფასება განხორციელდა უსდ-ს ავტორიზაციის მე-3 „საგანმანათლებლო პროგრამები“, მე-4 „უსდ-ის პერსონალი“ და მე-7 „მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები“ სტანდარტების შესაბამისად. მე-7 სტანდარტიდან შეფასდა მხოლოდ 7.1 კომპონენტი „მატერიალური რესურსები“. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მუშაობს ავტორიზებულ რეჟიმში.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანამდე პროგრამის დასახელება იყო - მშენებლობა, ხოლო კვალიფიკაციის დასახელება - ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში. ცვლილებების განხორციელების შემდეგ პროგრამის დასახელებაა - მშენებლობა, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება - მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი (დეტალური სფეროს კოდი 0732). ,,მშენებლობის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა - 240 ECTS კრედიტი, სწავლების ენა - რუსული, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი, დეტალური სფეროს დასახელება და კოდი– 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- · ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 167 ECTS კრედიტი, მათ შორის: წინასაბაკალავრო პრაქტიკა - 5 ECTS კრედიტი, საბაკალავრო პროექტი - 5 ECTS კრედიტი; · ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 58 ECTS კრედიტი; · თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS კრედიტი.

სტანდარტი 3 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული სტანდარტის 3.1, 3.2 და 3.3 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. სტანდარტი 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული სტანდარტის 7.1 კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებუელბამ მაქსიმალურად მოახდინა პროგრამის 69/ნ ბრძანებასთან შესაბამისობა და გაანხორციელა აუცილებელი ცვლილებები რაზეც უკვე ისაუბრა ექპერტმა. ამასთან, დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღრულ რჩევებს.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 16:39 საათი

**საბჭოს სხდომა განახლდა:** 16:42 საათი

**ავტორიზაციის საბჭოს მიერ შეფასება და კენჭისყრა:**

საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციულ ი წარმოების შეწყვეტის საკითხი.**
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. **სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საგზაო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
• არა
**საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
• დიახ
აცილება განაცხადა ნინო იმნაძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საგზაო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება დაწესებულების მიერ ცენტრში 2022 წლის 30 ნოემბრის წერილით წარმოდგენილი ,,საგზაო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. მონიტორინგის მიზანია, ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება. შეფასება განხორციელდა უსდ-ს ავტორიზაციის მე-3 „საგანმანათლებლო პროგრამები“ და მე-4 „უსდ-ის პერსონალი“ სტანდარტების შესაბამისად.

შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საგზაო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მუშაობს ავტორიზებულ რეჟიმში. ,,საგზაო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა - 240 ECTS კრედიტი, სწავლების ენა - ქართული, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი, დეტალური სფეროს დასახელება და კოდი – 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

• ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 206 ECTS კრედიტი, მათ შორის: საწარმოო პრაქტიკა - 5 ECTS კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS კრედიტი;

• ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 19 ECTS კრედიტი; • თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS კრედიტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა სამი რჩევა; აქედან, ერთი რჩევა მე-3 სტანდარტის 3.3 კომპონენტთან მიმართებით, ხოლო ორი რჩევა - მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტთან მიმართებით.

სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული სტანდარტის 3.1, 3.2 და 3.3 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მაქსიმალურად მოახდინა პროგრამის 69 ნ ბრძანებასთან შესაბამისობა და განხორციელა აუცილებელი ცვლილებები რაზეც უკვე ისაუბრა ექპერტმა. ამასთან, დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეშვებოდა უნივერსიტეტის ახალი ვებ-გვერდი, სადაც სამომავლოდ ატვირთული და ხელმისაწვდომი იქნებოდა დეტალური ინფორმაცია პროგრამების შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 16:39 საათი
**საბჭოს სხდომა განახლდა:** 16:42 საათი
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საგზაო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე ადმინისტრ აციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.**
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საგზაო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
• არა
**საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
• დიახ
აცილება განაცხადა ნინო იმნაძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის “ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება დაწესებულების მიერ ცენტრში 2022 წლის 30 ნოემბრის წერილით წარმოდგენილი “ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. მონიტორინგის მიზანია, ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება.
შეფასება განხორციელდა უსდ-ს ავტორიზაციის მე-3 „საგანმანათლებლო პროგრამები“ და მე-4 „უსდ-ის პერსონალი“ სტანდარტების შესაბამისად. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მუშაობს ავტორიზებულ რეჟიმში (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №76, 01.10.2018). “ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა - 240 ECTS კრედიტი, სწავლების ენა - რუსული, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების ბაკალავრი, დეტალური სფეროს დასახელება და კოდი – 0724 სამთო საქმე და მოპოვება.
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები გადანაწილებულია შემდეგნაირად:
• ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 201 ECTS კრედიტი, მათ შორის: პრაქტიკა - 5 ECTS კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS კრედიტი;
• ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 29 ECTS კრედიტი; • თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 10 ECTS კრედიტი.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა სამი რჩევა, აქედან, ერთი რჩევა მე-3 სტანდარტის 3.3 კომპონენტთან მიმართებით, ხოლო ორი რჩევა - მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტთან მიმართებით. სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა:
სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული სტანდარტის 3.1, 3.2 და 3.3 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მაქსიმალურად მოახდინა პროგრამის 69 ნ ბრძანებასთან შესაბამისობა და განხორციელა აუცილებელი ცვლილებები რაზეც უკვე ისაუბრა ექპერტმა. ამასთან, დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებს.
ამასთან ავტორიზაციის პერიოდისთვის დაწესებულებ მიერ დაინერგა ISO-901, შესაბამისად ამ მიმართულებით მენეჯმენტი სრულიად იყო სერთიფიცირებული.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 16:39 საათი
**საბჭოს სხდომა განახლდა:** 16:42 საათი
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.**
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე: 11**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
• არა
**საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
• დიახ
აცილება განაცხადა ნინო იმნაძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემული წარმოება მიზნად ისახავდა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის - სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტების შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფი ორი წევრის შემადგენლობით შეუდგა საქმიანობას და შესაბამისი წესების გათვალისწინებით შეაფასა ავტორიზაციის მესამე, მეოთხე და მეშვიდე სტანდარტი. მოცემული ცვლილებების განხორციელებამდე პროგრამის ძველი დასახელება იყო - სურსათის პროდუქტების წარმოების ინჟინერია, ხოლო კვალიფიკაციის ძველი დასახელება - ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია. ცვლილებების განხორციელების

შემდეგ პროგრამის დასახელება ჩამოყალიბდა, როგორც სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება - მეცნიერების ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში (დეტალური სფეროს კოდი 0721). შეიცვალა დეტალური სფეროც, მიუხედავად იმისა, რომ ძველი კვალიფიკაციის შესატყვისი კვალიფიკაცია (ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერი (0711)) მოქმედ კლასიფიკატორში არსებობს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით რადიკალურად შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერების ბაკალავრი. პრაქტიკულად ამ პროგრამას პრობლემა შეექმნა აკრედიტაციაზე სწორედ იმიტომ, რომ კვალიფიკაცია რაც ავტორიზაციის დროისთვის იყო ჩამოყალიბებული არ იყო 2019 წელს გათვალისწინებული, რაც სხდომის დროს უკვე იყო გამოსწორებული. რაც შეეხება ვებ-გვერდზე განთავსებას, ძველი რედაქციის ვებ-გვერდზე ინფორმაცია სრულიად იყო მოცემული, თუმცა განახლებულ საიტზე განსხვავებული ფორმით იყო წარმოდგენილი.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 16:39 საათი
**საბჭოს სხდომა განახლდა:** 16:42 საათი
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.**
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე**: 11
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **"სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის" საბაკალავრო** საგანმანა თლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

აცილება განაცხადა ნინო იმნაძემ.

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, დასკვნა მომზადებულია სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის No69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროებისკლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ტრანსპორტის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში უსდ-ს შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის მე-3 და მე-4 სტანდარტებთან. შესაბამისობის დადგენა მოხდა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, ადგილზე ვიზიტის გარეშე. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გაეცნო „ტრანსპორტის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტს და გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია მასში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ამასთანავე, კორესპონდენციით წარმოადგინა პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები, რაც აისახა დასკვნის საბოლოო რედაქციაში.
**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა დასკვნაში წარმოდგენილი რჩევები:**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მე-5 შედეგის მისაღწევად, სასურველია, მისი უზრუნველყოფა შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის გამოსამუშავებელი სასწავლო კურსებით (არანაკლებ B2 დონე).
2. სასურველია, პროგრამის აღწერაში გასწორდეს ტერმინი ,,კომპეტენტურობები'' ტერმინით _ ,,კომპეტენციები''.
3. პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევის სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია მიღების წინაპირობად განისაზღვროს აბიტურიენტის მიერ რუსული ენის შესაბამისი კომპეტენციის დადასტურება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**
დაწესებულები წარმომადგენლმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და პირველ რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა სტუდენტი, რომელიც ირიცხებოდა პროგრამაზე აკმაყოფილებდა წინაპირობას არა ნაკლებ B2 დონეზე რუსული ენის ფლობის. მოცემული საკითხი მოწესრიგებული იყო დებულებების დონეზე. რაც შეეხება დანარჩენ რჩევებს

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ ისინი იქნებოდა გათვალისწინებული ინსტიტუციის მიერ. ამასთან უნდა აღინიშნო, რომ საკამოდ წარმატებულად ხორციელდებოდა იგივე პროგრამა ქართულ ენაზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა აპირებდა თუ არა დაწესებულება თითოეული პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადებას და გეგმავდა თუ არა მსგავსი ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავდა აკრედიტაციის განაცხადის გაკეთებას თითოეულ პროგრამასთან მიმართებით. რაც შეეხება ინგლისურენოვან პროგრამებს, ტექნიკურ უნივერსიტეტში ძირთადი აქცენტი სწორედ რომ ინგლისურენოვან პროგრამებზე კეთდებოდა, სადაც გასათვალისწინებელი იყო დოქტორის ხარისხის მქონე ინგლისურენოვანი პერსონალის მობილიზება და პროგრამებს განვითარებაში ჩართვა. საუბარი არ იყო მხოლოდ სურვილზე, აღნიშნული თავად უნივერსიტეტის საჭიროებასაც წარმოსადგენადა.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 16:39 საათი
**საათი საბჭოს სხდომა განახლდა:** 16:42 საათი
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე ა დმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.**
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**6. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

• დიახ

აცილება განაცხადა დავით ბოსტოღანაშვილმა.

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მონიტორინგი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის მომზადებისთვის იხელმძღვანელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მონიტორინგი განხორციელდა მარიამ ბანძელაძის (თავმჯდომარე) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისა და ნანი ყავლაშვილის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრის მიერ. ბრძანების თანახმად ექსპერტებს განესაზღვრეთ 12 სამუშაო დღე მონიტორინგის დასკვინის მომზადებისთვის. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილია და თავისუფლად იძლევა მსჯელობის დადასტურების შესაძლებლობას. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს მიაჩია რომ ექვსი სტანდარტის (1, 2, 4, 5, 6, 7) ყველა ქვესტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ერთი სტანდარტის (მე-3 სტანდარტი) სამი ქვე-სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ერთი კი (3.3.) ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ მოცემული შეფასება მიმართული იყო პროგრამის განვითარებისკენ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციის შესაბამისად, საკამოდ რთული იქნებოდ აერთ წლის განმავლობაში ყველა კლინიკურ საგანში OSCE-ს მექანიზმის დანერგვა, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად რელევანტურია აღნიშნული რეკომენდაცია. ამასთან გამომდინარე იქიდან, რომ მიდგომა იწყებდა საქართველოში დანერგავს, რთული იქნებოდა ვინმესთვის check list-ების მოთხოვნა მოქმედ დარგობრივ მახასიათებელში კი მოცემული განსაზღვრული იყო როგორც არჩევითი საკითხი, იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებებს შეეძლოთ ან ჰქონდათ შესაბამისი რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა რჩევების უმრავლესობა გაითვალისწინა და შესაბამისი დოკუმენტები წარუდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. მოცემულ პროცესში აქტიურად იყო ჩართული პროგრამის განვითარების კომიტეტი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მზადდებოდა საერთაშორისო აკრედიტაციისთვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 16:54 საათი

**საბჭოს სხდომა განახლდა:** 16:55 საათი

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 79[1] მუხლის მე-13 პუნქტის და 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

**7. შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
- არა

**საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვით აცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება**
- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 03 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ცენტრში 2022 წლის 17 ივნისის წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 21 აპრილის სხდომის ოქმში ასახულ გარემოებებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შემოწმების მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების

შესრულების მონიტორინგი. შეფასების პროცესი განხორციელდა 2022 წლის 17 ოქტომბერს შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში ვიზიტით. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შესაბამისობა ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან გაცემულ 54 რეკომენდაციასთან მიმართებით; რეკომენდაციები განისაზღვრა 2021 წლის 9 და 10 დეკემბერს აკადემიაში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

ვიზიტის განხორციელებამდე აკადემიის მიერ მოწოდებული იყო თვითშეფასების ანგარიში და მისი თანდართული დოკუმენტაცია; ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რომელიც დროულად და მოწესრიგებულად იქნა უზრუნველყოფილი. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი სრულად იქნა შესრულებული. ანალიზის შედეგად ორი რეკომენდაცია იყო ისეთი რომელიც არ იქნა შესრულებული დაწესებულების მიერ, ხოლო 15 რეკომენდაცია იყო მეტწილად ან ნაწილობრივ შესრულებული. შესაბამისად ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული იქნა ხელახალი რეკომენდაციები.

პირველ სტანდარტთან მიმართებით, ძირითადად რეკომენდაცია შეეხებოდა მისი გაზიარების საკითხს, ასევე 2020-2024 სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი იმპლემენტაციის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციები დაწესებულების მიერ იქნა შესრულებული, საუბარი იყო ასევე სამოქმედო გეგმაში მითითებული ინდიკატორების გაზომვადობასთან დაკავშირებით, რომელიც მეტწილად არის შესრულებული. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ახალი სპეციალური ფორმა რომლის მიხედვითაც განისაზღვრა თუ რა დონეზე იქნა შესრულებული კონკრეტული აქტივობა, თუმცა ამ ფორმის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი არ ხორციელდებოდა. ამავდროულად ინდიკატორების გარკვეული ნაწილი იყო გაზომავდი, თუმცაღა არ იყო განსაზღვრული კონკრეტული სამიზნე ნიშნულები და მაჩვენებლები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის მიზნების გაზომვადობასთან დაკავშირებით რეკომენდაცია კვლავ ძალაში დარჩა გამომდინარე იქიდან, რომ როდესაც ექსპერტები გაეცნენ აღნიშნულ დოკუმენტს, ბოლო ცვლილება შეტანილი იყო 2021 წლის მარტში, რაც ნიშნავდა იმას, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ მოცემულ დოკუმენტში არანაირი ცვლილება არ შესულა.

რაც შეეხება რეკომენდაციას სტრატეგიული აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით, აკადემიის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით ჩანს, რომ მას გააზრებული აქვს საკუთარი დანიშნულება; ასევე, ინტერვიუს დროსა და ანგარიშში დააფიქსირა, რომ განახორციელა საკუთარი დანიშნულების გააზრება ბენჩმარკინგის გზით; ხოლო მტკიცებულების სახით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით: Benchmarking (საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით) ჩანს, რომ აღნიშნული კვლევა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებშია განხორციელებული და არა ინსტიტუციურ დონეზე.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ რეკომენდაციები ასევე მოიცავდა დებულების დანერგვას, ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიამ წარმოადგინა შიდა ორგანიზაციული დოკუმენტები, რაც ადასტურებს თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურის მუშაობას. გასაუბრების პროცესში აღნიშნულ სტრუქტურებს გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქციები და ჯეროვნად ასრულებენ მათ. რეკომენდებულია სენატის საქმიანობაში ჩართული სტუდენტი წევრი მეტად იყოს ინფორმირებული საკუთარი ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ, შესაბამისად, სტუდენტის ჩართულობას ჰქონდეს ქმედითი და არა ფორმალური ხასიათი.

რაც შეეხება კმაყოფილების კვლევას, აკადემია ახორციელებს კვლევებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. თუმცა, მნიშვნელოვანია კვლევების მეთოდოლოგიის გადახედვა და დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს კომპლექსური ანალიზი. ასევე მნიშვნელოვანია შედეგების კრიტიკული გაანალიზება. მოცემული მეთოდოლოგიით რთულია დასკვნების გამოტანა.

ნაწილობრივ იყო რეკომენდაცია შესრულებული ასევე შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, კერძოდ ბაზრის ანალიზი გაკეთებული იყო, თუმცა გამოკითხვის ინსტრუმენტები მეტწილად დასახვეწია, რათა შესაძლებელი იყოს კრიტიკული დასკვნების გამოტანა და ანალიზი.
ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ განახლდა ხარისხის მმართვის დებულება, ასევე საუნივერსიტეტო აკადემიური სტილის შესახებ დოკუმენტი არსებობს. დაწესებულება ახორციელებს შესაბამის ზომებს პერსონალისა სტუდენტების ინფორმირების მიზნით. საჭიროა სტუდენტებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება აღნიშნულთან დაკავშირებით. გასაუბრების დროს სტუდენტებმა ვერ დაასახელეს უნივერსიტეტში გამოყენებული კონკრეტული აკადემიური სტილი. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიამ განახორციელა შესაბამისი ზომები აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მიზნით. უნივერსიტეტი წელიწადში ერთხელ ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას, თუმცა ამ ანალიზის გამოყენება სად ხდება, ხდება თუ არა უკუკავშირი ეს არ ჩანს არც დოკუმენტურად და კურსდამთავრებულებმაც ვერ დაადასტურეს მათი ჩართულობა სწავლის დასრულების შემდგომ ეტაპზე.
რაც შეეხება გარე შეფასებას, თითოეულ პროგრამას აფასებს გარე ექსპერტი, უნივერსიტეტმა წარმოადგინა გარე შემფასებლების მიერ წერილობითი სახით პროგრამის შეფასების დოკუმენტი „გარე კოლეგიალური შეფასება“. ამასთან, პროგრამა ფინანსების მიმართულებით არის ფოკუსირებული.
სილაბუსებში ლექტორებს გამოყენებული აქვთ, სწავლების სხვადასხვა, თანამედროვე მეთოდები. ამასთან სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუთი დასტურდება მათ მიერ სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების ფაქტები. ლექტორები ქმნიან საგამოცდო კომბინირებულ ტესტების სხვადასხვა ვარიანტებს. ორიენტაცია გაკეთებულია უფრო ღია კითხვებზე და პრაქტიკულ დავალებებზე. რაც შეეხება გამოცდის ფარულობას, შემუშავებულია კეთილსინდისიერების ანკეტა, ლექტორის როლი საგამოცდო პროცესში მინიმუმადე არის დაყვანილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაკეთილსინდისიერი ქმედება ლექტორის მხრიდან. პირისპირ ფორმატში გამოცდებს ჩაატარებს საგამოცდო ცენტრი მოწვეული დამკვირვებლების საშუალებით. აკადემია ზრუნავს სტუდენტური მხარდამჭერის სერვისების განვითარებაზე; რეკომენდაციასთან მიმართებით აღსანიშნავია პროფესიული და კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით არსებული სერვისები, ასევე აკადემიაში ტარდება აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესიც, თუმცა აკადემიური მოსწრების შედეგების შესაბამისად შემდგომი რეაგირება არ ჩანს.
პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების პოლიტიკა არსებობს. რეკომენდებულია გადაიხედოს თბილისის თავისუფალი აკადემიის პერსონალის მართვის წესი, კონკრეტულად კი მუხლი 23.3 ჩანაწერი და შესაბამისად, დაინერგოს პერსონალის წახალისების განხორციელების მეტად მონაწილეობითი მექანიზმი. აკადემიას აქვს შესაბამისი დოკუმენტები პერსონალის წახალისების კუთხით. ამასთანავე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გამოყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსები. აკადემიას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტები. პერსონალის მართვის პოლიტიკასა და შეფასების სისტემაში დადგენილია შესაბამისობა.
უნდა აღინიშნოს ასევე, რომ უნივერსიტეტს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი აქვს კრედიტების აღიარების წესი და ამ წესის შესაბამისად უზრუნველყოფს კრედიტების აღიარებას; ვინაიდან კრედიტების აღიარების პროცესი მოიცავს პროგრამის და სტუდენტის მიერ შესწავლილი კურსების შინაარსობრივ ანალიზს, ხოლო აღიარების დასკვნას ადგენს დეკანი ან დეკანის მოადგილე (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 12), მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სტუდენტთან დადებული ჩარჩო ხელშეკრულება, სადაც აღწერილია სტუდენტის ყველა ფინანსური ვალდებულება. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრი. აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფს

ახალი ვაკანსიების მოძიებას და რელევანტური ვაკანსიებით სტუდენტების ინფორმირებულობას. აღნიშნული დაადასტურეს, როგორც სტუდენტებმა, ასევე ცენტრის ხელმძღვანელმა. ამასთან აღსანიშნავია რომ გაფორმდა ოთხი საერთაშორისო მემორანდუმი, ასევე უნივერსიტეტს დაწყებული აქვს მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, რომელთა ნუსხაც წარმოდგენილი იქნა ვიზიტის ფარგლებში. უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აკადემიას წახალისებული აქვს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. საჭიროა მუდმივ რეჟიმში აღნიშნულ საკითხზე მუშაობა და მეტი მტკიცებულების წარმოდგენა განხორციელებული კვლევითი პროექტების შესახებ. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა აკადემიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებებია. აღნიშნულის ხელშეწყობის მიზნით გამოყოფილია ფინანსური რესურსებიც.

რაც შეეხება მე-7 სტანდარტს ექსპერტთა მიერ საკმაოდ დეტალურად იქნა შესწავლილი დაწესებულებაში არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა. ამასთან, ადგილზეც ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა რომ დაწესებულების მიერ მოხდა რესურსების განახლება და გამრავალფეროვნება. აკადემიის სასწავლო აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერებითა და შესყიდვის აქტებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ იზრუნა და ყველა სასწავლო აუდიტორია აღჭურვა პროექტორით, ასევე განაახლა კომპიუტერული ტექნიკა, ხოლო პროგრამების დამატების კვალდაკვალ, ბიუჯეტით გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ხარჯები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე დადგინდა, რომ აკადემიის სახელმძღვანელოები დამუშავებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; კერძოდ, აკადემია ხელმძღვანელობს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით, სახელმძღვანელოები დალაგებულია ფონდში თემატური და ანბანური საძიებლების მიხედვით, რაც ყველა დაინტერესებული პირისთვის აადვილებს სასურველი ლიტერატურის მოძიების პროცესს; ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ იქნა რამდენიმე სახელმძღვანელო, რომელიც გადამოწმდა ელექტრონულ კატალოგშიც (Openbiblio), სადაც სახელმძღვანელოები კატალოგიზაციის წესების სრული დაცვით იყო აღრიცხული. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებულ იქნა სილაბუსში წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში და არ დადასტურებული ფაქტი სავალდებულო ლიტერატურის არარსებობის შესახებ.

ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის აკადემიას არ ჰქონდა საერთაშორისო საბიბლიოთეკო სამეცნიერო ბაზებზე გარე (დისტანციური) წვდომა, თუმცა ინტერვიუს შედეგად ექსპერტთა ჯგუფს განემარტა, რომ აკადემიას დაგეგმილი აქვს (სამოქმედო გეგმა 2022-2024) ბაზებზე გარე წვდომის უფლების მოპოვება; დაწესებულება პერიოდულად ატარებს ტრენინგებს სამეცნიერო ბაზების გამოყენების თაობაზე, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებითაც. აკადემია აკადემიური პერსონალისთვის ატარებდა სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ ტრენინგებს და თავად აკადემიურ პერსონალიც იყენებს აღნიშნულ ბაზებს. თუმცა სასწავლო პროცესში სტუდენტების მიერ ბაზების დამოუკიდებლად გამოყენებასთან დაკავშირებით კონკრეტული აქტივობა/დავალება მათ არ მიუციათ. პერსონალისგან გამოხატული იყო სამეცნიერო ბაზების სასწავლო პროცესში სამომავლოდ გაძლიერებულად გამოყენების მზაობა.

ვიზიტის დროს სწავლება მიმდინარეობდა პირისპირ რეჟიმში და დაწესებულებამ განმარტა, რომ დისტანციურ ფორმატში სწავლების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, დაგეგმილი ჰქონდათ Moodle პლატფორმის შეძენა. ამასთან სტუდენტებთან, აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ გამოცდებისთვის ხდებოდა რამდენიმე ვარიანტი საგამოცდო დავალების შემუშავება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს გადაცდომის რისკებს.

რაც შეეხება კომპიუტერულ პროგრამებს, აკადემია არ იყენებდა ლიცენზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს; როგორც სამოქმედო გეგმით (2022-2024), ასევე ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ აკადემია გეგმავდა ლიცენზირებული პროგრამების გააქტიურებას 2023-24 წლებში.
ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიამ გაითვალისწინა წინა შეფასების ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია და ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურში მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე აყვანილ იქნა ერთი თანამშრომელი.აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების განვითარების მხარდაჭერა დაწესებულების მიერ იდენტიფიცირებულია როგორ დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულება; 2019 წლიდან მოყოლებული აშაკარაა დაფინანსების მოცულობის ყოველწლიური ზრდა და საბოლოოდ, 2022-23 წლის ბიუჯეტში პერსონალის განვითარებისთვის გათვალისწინებულია 19,000 ლარი, ხოლო სტუდენტების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის - 16,500 ლარი. დაწესებულებამ წარმოადგინა დამფუძნებელთან/ფინანსურ პარტნიორთან დადებული შეთანხმება, რომლის თანახმადაც პირი აცხადებს მზაობას, რომ ფინანსური კრიზისის დადგომის შემთხვევაში გასცეს ინვესტიცია. აუდიტის მიერ გაცემულ დასკვნაშიც ნათვლად ჩანს კომპანიის მოგება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია რეალისტური რისკები და დასახულია შესაბამისი სამოქმედო გეგმა; ბიზნესუწყვეტობის გეგმით გათვალისწინებული რისკების სამართავად გამოყოფილი აქვს ფინანსური რესურსი.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დაწესებულებას თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ ჯგუფი ზედმიწევნით გაეცნო აკადემიის არგუმენტირებულ პოზიციას, სადაც დაწესებულება სრულიას ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებსა და რეკომენდაციებს.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**
საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ დააზუსტა გამოიყენეს თუ არა ექსპერტებმა შეფასებისას დაწესებულების ვებ-გვერდი.
ექსპერტმა განმარტა, რომ ჯგუფმა ვებ-გვერდი გამოიყენა იმ ნაწილთან მიმართებით რისი საჭიროებაც იყო. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა უკვე გაცემული რეკომენდაციების შემოწმება. შესაბამისად, საჭირო დოკუმენტებთან მიმართებით იყო სრული წვდომა.
საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ ერთი კვირის განმავლობაში რაც საბჭოს მასალები გაეგზავნა დაწესებულების ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებდა ან გადადიოდა სხვა ვებ-გვერდზე, ონლაინ შოპინგის ვებ-გვერდზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვებ-გვერდის ინტერფეისზე მოცემული იყო, რომ მიმდინარეობდა ვებ-გვერდის განახლება აღნიშნული კი გამომდინარეობდა იქიდან, რომ მოცემული ვებ-გვერდდი დაიჰაკა. ამასთან, ვებ-გვერდის პროგრამისტი გარდაიცვალა, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავდა საკითზე პასუხისმგებელი პირი. ამის შემდგომ დაწესებულებამ მემორანდუმი გააფორმა ახალ კომპანიასთან, რის შედეგადაც მიმდინარეობდა ვებ-გვერდის განახლება.
საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ ასევე დააზუსტა თუ რამდენად რაციონალურია დაწესებულების ფინანსების ზრდა და იყო თუ არა ეს თანხები საკმარისი.
ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტები გაეცნენ ახლად დამტკიცებულ ბიუჯეტს შესაბამისად რამდენად მიზნობრივად მოხდა თანხის გახარჯვა ამისი ანალიზი შეუძლებელი იყო. თუმცა მანამდე ბიუჯეტების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტებისა და

აკადემიური პერსონალისთვის აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობების, კერძოდ ტრენინგების კვლევითი პროექტების წახალისება და ორგანიზება. აქვე გასათვალისწინებელია პროგრამებისა და სტუდენტების რაოდენობაც. შესაბამისად ვიზიტის ეტაპზე მოცემული საკითხი დაწესებულების მიერ დადებითად იქნა შეფასებული.
საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ აღნიშნა რეკომენდაცია კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით და დააზუსტა თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რეკომენდაციის დატოვება.
ექსპერტმა განმარტა, რომ მოცემული რეკომენდაცია ექპერტების მიერ ახალი ფორმულირებით იქნა განსაზღვრული. წინა ჯგუფის რეკომენდაცია შეეხებოდა კრედიტების აღიარების წესის მკაფიო ჩამოყალიბებას. მოცემულ შემთხვევაში კრედიტების აღიარების წესის შესწავლის შემდგომ, რაც უკვე დეტალურად იყო გაწერილი დაწესებულების მიერ, ექსპერტებმა დამატებით მოახდინეს რეკომენდაციის განსაზღვრა, კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელის გარეშე აღნიშული საკითხის განსაზღვრა მიჩნეულ იქნა გასაუმჯობესებელ მხარედ.
დაწესებულების წარმომადგენელმა საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარსდგება ერთგვარი კრედიტების აღიარების დრაფტი. მოცემული საბჭოს შემადგენლობაში კი შედიოდნენ როგორც პროგრამის ხელმძღვანელები, ისე დანარჩენი აკადემიური პერსონალი. საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბება კი ხდებოდა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით.
საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ აღნიშნა, რომ ბენჩმარკინგის დოკუმენტი გაკეთებული არის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით და არა ინსტიტუციურ დონეზე. შესაბამისად, რაღაც რაც არის სისტემური, როგორ შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესაბამისობაში, როდესაც აღნიშნული არ შეფასებულა ინსტიტუციურად.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ბენჩმარკინგის დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა დამატებითი მტკიცებულების სახით. ექსპერტთა უკუკავშირი საკითხთან დაკავშირებით იყო, რომ აღნიშული მტკიცებულება ვერ იქნებოდა მიღებული მტკიცებულების სახით გამომდინარე იქიდან, რომ ეს იყო არა ინსტიტუციურ დონეზე, არამედ ერთი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტი. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ უნივერსიტეტს აქვს პრაქტიკა მოცემულია განხორციელების.
საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ განმარტა, რომ აუცილებელია თითოეული მოსაზრება და რეკომენდაცია ფაქტებით იყოს გამყარებული ამისთვის კი მხოლოდ ინტერვიუს შედეგები არ არის საკმარისი. ამასთან, ის ფაქტი რომ დაწესებულებამ შეცვალა ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტი რამდენად არის საკმარისი იმისთვის, რომ შეფასდეს 2.2 კომპონენტთან არსებული რეკომენდაციის შესრულების საკითხი.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას ბოლო ორი თვის გამავლობაში დაწყებული ჰქონდა აარ ერთი თანამშრომლობა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, ამასთან მუდმივად ხდებოდა კონფერენციებისა თუ სხვა აქტივობების ჩატარება როგორც სტუდენტებისთვის ასევე აკადემიური პერსონალისთვის. ასევე დაწესებულება ხელს უწყობდა კონფერენციებში ჩართულობას და რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება, ამას ინსტიტუცია მაქსიმალურად უწყობდა ხელს ფინანსურად.
საბჭოს წევრმა ივანე აბაშიძემ ასევე მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს კვლევის მექანიზმებთან დაკავშირებით გაეკეთებინათ განმარტება.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მექანიზმი ნამდვილად არსებობდა დაწესებულებაში და სწავლების ფარგლებში სწორეთ ამ მექანიზმით ხდებოდა ხელმძღვანელობა. ექსპერტები შინაარსობრივად საკმაოდ დეტალურად გაეცნენ მოცემულ ინსტრუმენტებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ კითხვები მოცემული ფორმულირებით იყო პრობლემური, რაც ბუნებრივი გავლენას ახდენდა ანალიზზე. მეტწილად მოცემული სტანდარტი შეფასდა იმ მიზეზით, რომ მოცემული ინსტრუმენტი უნივერსიტეტში არსებობს, თუმცა იყო დასახვეწი და აუცილებელი ამ საკითხზე მუშაობის გაგრძელება.
საბჭოს წევრმა ივერი აბაშიძემ ასევე აღნიშნა 2.5 კომპონენტი, კერძოდ რეკომენდაცია ეხებოდა მართვის შეფასების მექანიზმის განახლებასა და დახვეწას, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული იმ საკითხთან ტარდება თუ არა აუდიტები და მენეჯმენტის შეფასება, სადაც

უნდა მოხდეს ხელმძღვანელობის შეკრება და მოცემული საკითხების განხილვა. მუხედავად იმისა, რომ დასკვნაში მოცემულია, რომ მექანიზმი განახლებულია, 2.5 კომპონენტი არის პირდაპირპროპორციულად კავშირშია 2.2 და 2.4 კომპონენტებთან, სადაც ზოგან მოცემულია რომ ნაწილობრივ არის შესრულებული ხოლო ზოგან სრულად. ის რაც ნაწილობრივ იყო შესრულებული და ბმაში იყო მოცემულ საკითხთან შინაარსობრივად და მტკიცებულებითი თვალსაზრისით, როგორ შეიძლება იყოს მიჩნეული სრულიად შესრულებულად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სიღრმისეულად განიხილა თითოეული რეკომენდაციის ფორმულირება. ზემოაღნიშნული დოკუმენტი კი ნამდვილად იყო გადახდილი და განახლებული რეკომენდაციის შესაბამისად, რაც ასევე მტკიცდება წარმოდგენილი ოქმით. გამომდინარე იქიდან რომ რეკომენდაცია გულისხმობდა დოკუმენტის გადახედვას, დაწესებულებამ ნამდვილად მოახდინა აღნიშნული.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა 2.6 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რაც გულისხმობდა შრომის ბაზრის კვლევის სტანდარტის შემუშავებას და უზრუნველეყო მეთოდოლოგიური თანმიმდევრობა. აღნიშნული საკითხი ან არის ან არ არის შესაბამისად გაურკვეველია თუ რა შესრულდა. თუ ბაზრის ანალიზი გაკეთდა მაშინ რატომ შეფასდა აღნიშნული მეტწილად.

ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან აღნიშნული პროცესი იყო მონიტორინგის მონიტორინგი, ექსპერტები ამოვიდნენ უკვე არსებული რეკომენდაციებიდან. დაწესებულების მიერ რეკომენდაციების უმრავლესობა სრულიად იქნა შესრულებული, თუმცა სადაც არსებობდა გამოწვევები ექპერტებმა აღნიშული დეტალურად შეაფასეს. კონკრეტული რეკომენდაციები გამოწვეული იქნა სწორედ არსებული რეკომენდაციების შინაარსიდან.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა 2.9 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს და მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ.

ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს სწავლება მიმდინარეობდა პირისპირ რეჟიმში და დაწესებულებამ განმარტა, რომ დისტანციურ ფორმატში სწავლების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, დაგეგმილი ჰქონდათ Moodle პლატფორმის შეძენა. ამასთან სტუდენტებთან, აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ გამოცდებისთვის ხდება რამდენიმე ვარიანტი საგამოცდო დავალების შემუშავება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს გადაცდომის რისკებს. ასევე დაწესებულება აქტიურად იყენებდა პლაგიატის პროგრამას. ექსპერტების მიერ გამოთხოვილი და შეფასებული იქნა როგორც მაღალი შეფასების მქონე ნაშრომები ისე დაბალი. მოცემულ ნაშრომებს ჰქონდათ როგორც ანტი პლაგიატის, ასევე ხელმძღვანელის დასკვნაც.

საბჭოს წევრმა, ელენა ჟურავლოვამ დააზუსტა, რა დონეზეც საბჭოს დროს მიმდინარეობდა პროცესები იყო თუ არა დამაკმაყოფილებელი იმისათვის, რომ უნივერსიტეტს გაეგრძელებინა ფუნქციონირება. ამასთან აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე საუბრისას აღნიშნული იყო, რომ Moodle გამოყენებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სწავლება წარიმართებოდა დისტანციურად, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა არის თუ არა რაიმე სხვა პროგრამა პლაგიატის შემოწმების.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს რესურსი და მზაობა იმისა, რომ გაითვალისწინოს რეკომენდაციების და გააუმჯობესოს პროგრამა. ის სამოქმედო გეგმა, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა, რომელიც კიდევ ერთხელ მხარს უჭერს ამ ნაწილს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება მეტწილად დადებითად შეიძლება შეფასდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ Turnitin-თან ინსტიტუციას აქვს მემორანდუმი გაფორმებული თუმცა იყენებს განცალკევებულად არა მხოლოდ moodle-თან ერთად. ამასთან ონლაინ სწავლების პერიოდში დაწესებულება იყენებდა ზუმ პლატფორმას, თუმცა ექსპერტების რეკომენდაციის მიხედვით მხოლოდ აღნიშნული არ იყო საკმარისი, შესაბამისად თუ დადგა საჭიროება ონლაინ სწავლების პროცესში დაწესებულება გამოიყენება ასევე moodl-ს.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშილმა მხარეებს განემარტათ თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში სტუდენტთა ჩართულობა. ამასთან მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბაზებთან წვდომის საკითხი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტა ჩართულობა დადებითაც უნდა შეფასდეს, რაც ასევე დასტურდებოდა ინტერვიუების შედეგად. სტუდენტების პასუხებიდან დადასტურდა მათი კიდევ უფრო ფორმალური ჩართულობა. რაც შეეხება სამეცნიერო ბაზებთან წვდომის საკითხს, პანდემიის დროს გარკვეული ბაზები იყო ღია წვდომით, რითაც დაწესებულება სრულიად სარგებლობდა. ვიზიტის მომენტისთვის ბაზების გარკვეული ნაწილი არ იყო ღიად მოცემული, თუმცა დაწესებულებამ ადგილზე აჩვენა ექსპერტებს ის საერთაშორისო ბაზები, რომლის გამოყენებაც ხდება. ამასთან ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ უტარდებოდათ ტრენინგები სამეცნიერო ბაზების გამოყენების თაობაზე. გარდა ამისა, აკადემიურმა პერსონალმა ასევე დაადასტურა ბაზების გამოყენება, თუმცა არა კვლევითი სასწავლო კურსების პროცესში. შესაბამისად, მოცემული საკითხი კვლავ დარჩა რეკომენდაციის სახით.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 18:27 საათი
**საბჭოს სხდომა განახლდა:** 19:05 საათი
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს თბილისის თავისუფალი აკადემიი სავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 12
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 24-ე პუნქტის საფუძველზე, საბჭომ მიმართა ცენტრს შპს თბილისის თავისუფალი აკადემიისავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით 6 თვის ვადაში განახორციელოს მონიტორინგი ოქმში ასახული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით.

**საბჭომ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

**რეკომენდაციები:**

სტანდარტი 1

- სამოქმედო გეგმაში მითითებული ინდიკატორების შესაბამისად ჩამოყალიბდეს სამიზნე ნიშნულები ისე, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა შეძლოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და ინდიკატორების შესრულების დონის შეფასება/გაზომვა;
- რეკომენდებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები იყოს გაზომვადი;

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ჩაატაროს სტრატეგიული აუდიტი, შეისწავლოს კონკურენტები, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გრძელვადიანი პერიოდში მოუტანს მას მდგრადობას

სტანდარტი 2

- დაინერგოს უსდ-ს მიერ შემუშავებული დებულება და თითოეულმა ორგანიზაციულმა ერთეულმა დაიწყოს დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულება;
- მოხდეს დროის ეფექტურად გადანაწილება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებზე;
- რეკომენდებულია დაწესებულების მართვაში სტუდენტების ჩართულობა იყოს ქმედითი. მნიშვნელოვანია სტუდენტების ინფორმირება და დისკუსიებში მათი მონაწილეობა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტის ჩართულობა არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს;
- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ სიღრმისეულად გააანალიზოს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევების შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემები და შესაბამისი დასკვნები გამოიყენოს ხარისხის უწყვეტი და მდგრადი განვითარებისთვის;
- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს მართვის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები;
- რეკომენდებულია კვლევების მეთოდოლოგიების დახვეწა და შედეგების კრიტიკული ანალიზი. მნიშვნელოვანია დაწესებულებამ კრიტიკულად გაიაზროს უარყოფითი შედეგები, გამოიტანოს ჩავარდნების თუ საჭიროებების შესახებ დამატებითი დასკვნები;
- დაწესებულებამ შეიმუშავოს შრომის ბაზრის კვლევის სტანდარტი და უზრუნველყოს კვლევის მეთოდოლოგიური თანმიმდევრულობა, რეკომენდირებულია შრომის ბაზრის კვლევის დროს შერჩევის დასაბუთება და გამოკითხვის ინსტრუმენტის ისე შედგენა, რომ მიღებული ინფორმაცია იძლეოდეს ანალიზის საშუალებას;
- რეკომენდებულია კვლევის მიგნებების ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების ასახვა შესაბამის წლების სამოქმედო გეგმაში. საჭიროა მოცემული იყოს პირდაპირი კავშირი კვლევებსა და უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებთან;
- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს კეთილსინდისიერების პრინციპების ფართო იმპლემენტაცია და გამორიცხოს საგამოცდო თუ სხვა სახის აკადემიური თაღლითობები;
- რეკომენდებულია აკადემიური სტილის შესახებ სტუდენტების ცნობიერების ამაღლება. დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის (თბილისის თავისუფალი აკადემიის აკადემიური ნაშრომის შესრულების წესი) პრაქტიკაში დანერგვა უნდა განხორციელდეს აკადემიური პერსონალის ხელშეწყობით.

სტანდარტი 3

- რეკომედირებულია, კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდეს პერიოდულობით, წინასწარი განსაზღვრული სიხშირით, რათ პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზეც შესაძლებელი იყოს მათი მოსაზრებების გათვალისიწინება.
- რეკომედირებულია, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებების/მოსაზრებების პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზეც გათვალისიწინება.
- რეკომენდირებულია, ინსტიტუცია დარწმუნდეს რომ გამოცდის პასუხები წინასწარ არ არის ცნობილი სტუდენტებისთვის და არ დაუშვას მსგავსი შემთხვევები, რადგან ეს შეიძლება გახდეს არაგეგმიური მონიტორინგის მიზეზი;

- რეკომენდებულია ინსტიტუციამ გააძლიეროს აკადემიური მხარდაჭერის სერვისები სტუდენტებისთვის, რომელიც დაეხმარებათ მათ სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაში;

სტანდარტი 4

- პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების პოლიტიკა იყოს მკაფიო; ამისთვის განხორციელებული მექანიზმები იყოს ქმედითი;
- რეკომენდებულია გადაიხედოს თბილისის თავისუფალი აკადემიის პერსონალის მართვის წესი, კონკრეტულად კი მუხლი 23.3 ჩანაწერი და შესაბამისად, დაინერგოს პერსონალის წახალისების განხორციელების მეტად მონაწილეობითი მექანიზმი.

სტანდარტი 5

- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების მიერ მიღებული კრედიტების აღიარების მკაფიო წესი და ამასთან, უზრუნველყოს რეალისტური შედარება
  პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისთვის კრედიტების აღიარების დასკვნის შედგენისას პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის მართვის სამსახურის ჩართულობა, რათა უზრუნველყოს რეალისტური შედარება პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით;
- რეკომენდებულია გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება და სტუდენტთა შერჩევის პროცედურის გაწერა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტში.

სტანდარტი 6

- რეკომენდებულია დაწესებულებამ მეტად აქტიურად შეუწყოს ხელი პრაქტიკაში კვლევითი კომპონენტების დანერგვას. საჭიროა დაწესებულებამ აწარმოოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სრულყოფილი აღრიცხვა.

სტანდარტი 7

- რეკომენდებულია სამეცნიერო ბაზებზე დისტანციური წვდომის განხორციელება შესაბამისი ტრენინგების მიწოდება სტუდენტებისთვის.
- რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალთან გაძლიერებული თანამშრომლობა, სასწავლო პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკის გაზრდის მიზნით;
- უზრუნველყავით ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამების გამოყენება თქვენ მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში;
- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგებებისა და კვალიფიციური აუდიტის მიერ მომზადებული დასკვნების საჯაროობა;
- რეკომენდირებულია, საგამოცდო პროცესის წარმართვისას უსდ-მ გამოიყენოს ისეთი სისტემები, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას და მინიმუმამდე შეამცირებს გადაცდომის რისკებს;

**რჩევები:**

სტანდარტი 2

- სასურველია, ოქმის ჩანაწერები იყოს ინფორმაციულად სრულყოფილი. მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იყოს კონკრეტული მსჯელობა, გამოთქმული მოსაზრებები.
- სასურველია, საგამოცდო ცენტრისთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად განხორციელებისთვის აკადემიამ მოიძიოს საჭირო დამატებითი ადამიანური რესურსი

სტანდარტი 6

- ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა მუდმივი პროცესია, შესაბამისად სასურველია დაწესებულებამ მუდმივად იფიქროს ამ კუთხით ფინანსური რესურსების გამოყობაზე/გაზრდაზე. ასევე, მიზანშეწონილია აღნიშნულის ხელშეწყობა ყველა მოქმედი პროგრამის ფარგლებში იყოს მოაზრებული.
- სასურველია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ სტუდენტებსა და აკადემიის პერსონალს შორის ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი ტრეინინგების აქტიური ორგანიზება, რათა გაიზარდოს გამოყენების მაჩვენებელი.

სტანდარტი 7

- იზრუნეთ საგამოცდო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით თანამედროვე სისტემების/პლატფორმების გამოყენებაზე;

**8. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
• არა
**საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
• დიახ
• აცილება განაცხადა გაგა გვენეტაძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით სხდომის მდივნის ფუნციის შესრლება დაევალა, საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს საქართველოში“ მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 450-ით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულებას ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 1 წელი, ხოლო დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შემოწმების განხორციელება კი 2 წლის ვადაში.
შპს "ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში"-ს მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 20 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასება. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდება ონლაინ ფორმატში 2022 წლის 3 ოქტომბერს. ვიზიტი წარიმართა კოლეგიურ, საქმიან და მშვიდ გარემოში. შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“-ს მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ აუცილებელი დოკუმენტები.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულებამ ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული 35 რეკომენდაციიდან 30 სრულად შეასრულა, 1 მეტწილად შეასრულა, 3 ნაწილობრივ შეასრულა, ხოლო 1 არ შეასრულა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით განისაზღვრა 5 რეკომენდაცია.
რეკომენდაციებთან დაკავშირებით ექსპერტებმა ასევე განიხილეს დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი, თუმცა რეკომენდაციები უცვლელად იქნა დატოვებული.
ექსპერტთა მიერ პროგრამა დადებითად იქნა შეფასებული, ვინაიდან 7 სტანდარტიდან 6 იქნე შეფასებული როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო მე-5 სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დარჩენილი რეკომენდაციები არ წარმოადგენს გაწელილ პროცესს ვინაიდან დაწესებულებამ მუდმივად უნდა იმუშაოს მათ განსავითარებლად. ამასთან უნივერსიტეტის პარტნიორს წარმოადგენს პინგემის უნივერსიტეტი, რომლებიც ასევე საკმაოდ არიან საბაკალავრო დონეზე სწავლების პროცესში ჩართულნი.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 19:16 საათი
**საბჭოს სხდომა განახლდა:** 19:19 საათი
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი

არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის საფუძველზე შეწყდეს შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო

სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა